



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №10

2014 წლის 30 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06/02/2013 ) შევიდეს ცვლილება, კერძოდ,

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანების ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის პროგრამა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანების ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის პროგრამის ფარგლებში, გამგეობის სოციალურ სამსახურში არსებული ვეტერანთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება იმ სუბსიდიის ოდენობა, რომელიც მიეცემა ვეტერანთა ტრანსპორტით მომსახურე სუბიექტებს. ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის პროგრამა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება შიდა სამგზავრო გადაყვანებზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის გამგეობის სოციალური დაცვის სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.“

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3<sup>1</sup> პუნქტი:

„3<sup>1</sup>. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანების ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის პროგრამის შემთხვევაში, გამგებლის ბრძანებით განისაზღვრება სუბიექტები და სუბსიდიის თანხა ტრანსპორტირების განმახორციელებელი სუბიექტების მოძრაობის მარშრუტის გათვალისწინებით.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი